

IV



1



2

V



1



2

მირანდა თურმანიძე

ძვ.ნ. IV საუკუნის კოლეგიუმის სამართვა

ჩვენი საველე კვლევა—ძიების ობიექტს 2017 წლისათვის ძვ.ნ. IV ს კოლხური სამართვანი წარმოადგენდა. გარკვეული მაშტაბის სამუშაოები 2012-2014 წწ. განვახორციელეთ. ძირითადი სამუშაოების ნაქალაქარზე გადატანის გამო, ორი წელი ამ ძეგლზე გათხრები შეჩერებული იყო. დღემდე აღმოჩენილია 64 ორმო სამარხი და ოთხი საალაპო მოედანი. წელს გადავწყვიტეთ გაგვეფართოებია სამუშაოები – სამართვნის კვლევა. რომლის, მიმართ ინტერესი საქმაოდ დიდია. კერძოდ, სხვა ფინვნარის სამართვნებთან შედარებით (ძვ.ნ. V ს კოლხურ, ძვ.ნ. V – IV) სხვა ჩაის პლანტაციის არსებობის გამო, ადრე ამ ადგილებში ჩვენ არქეოლოგიური გათხრების საშუალება არ გვქონდა. ამიტომაც, ბუნებრივია ამ ძეგლის მიმართ ინტერესი განსაკუთრებულია. 2012–2013 წწ. მოხერხდა 32 სამარხის შესწავლა. კახიძე, ნ.ძნელაძე, თ.შალიკაძე, მ. თურმანიძე, 2013:75-80; ა. კახიძე, ნ.ძნელაძე, მ. თურმანიძე, თ. ფარტენაძე, 2015:15-20].

ახალი გათხრები მიზნად ისახავს ამ ეპოქის კოლხთა სამეურნეო ყოფისა და კულტურის კვლევა. გარდა ამისა, გვაინტერესებდა სამართვნის გავრცელების საზღვრები როგორც ძვ.ნ. V ს კოლხურ, ასევე ძვ.ნ. IV ს ბერძნული და ელინისტური ეპოქის სამართვნების მიმართულებით.

ძვ.ნ. IV ს კოლხურ სამართვაზე ადრე შესწავლილი თხრილი გაფართოვდა ჩრდილოეთისაკენ მე-13 სექტორში (ტაბ. I/1); აიგეგმა მე-19; 39-ე, 49-ე, 59-ე, 69-ე, 30-ე, მე-40, 50-ე, მე-60 და 70-ე კვადრატები (ტაბ. III /1,2). დასავლეთის მიმართულებითაც აიგეგმა ორ-ორი კვადრატი. პირველ რიგში გასათხრელი ფართობი გაიწმინდა ეკალბარდისა და ჩაის ბუჩქებისაგან.

გათხრები წარმოებდა ფიჭვნარის სამართვნების მიმართ შემუშავებული ტრადიციული მეთოდით. კერძოდ, ბარისპირის მეთოდის გამოყენებით მთელ ტერიტორიაზე მოიხსნა ზედა ჰუმუსოვანი ფენა. რომლის სიმძლავრე ქვემოთ ჩამოთვლილი კვადრატების გვერდითი ჭრილის მიხედვით ასე გამოიყურება:

კვ. 49 – 20 სმ

60 – 40 სმ

69 – 55 სმ

50 – 10-25 სმ

70 – 45-55 სმ

ამ დონის კვლევისას შეინიშნებოდა არქეოლოგიური არტე-
ფაქტების დიდი სიმწირე. მხოლოდ 70-ე კვადრატში მოვიპო-
ვეთ ამფორის ყურის ფრაგმენტი. გარდა ამისა, დედაქანის და-
საწყისთან, მე-40 კვადრატში, დადასტურდა სალაპო მოედნის
არსებობა (ტაბ.V/1). ფოტო და გრაფიკული ფიქსაციის შემ-
დგომ, ფხვიერი სილნარის შრის შესწავლის გზით მთელ მოე-
დანზე გავრძელდა ძირითად დედაქანში ჩაჭრილი სამარხების
კონტურების გამოჩენა (ტაბ. III 2).

კ3.69: სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში გამოიკვეთა სამარ-
ხის დასავლეთი მონაკვეთი. რომლის დიდი ნანილი გაუთხრელ
ფართობში ექცევა. გავაკეთეთ შენაჭარი (სამარხი №48). ამავე
კვადრატის ცენტრალურ ნანილში გამოჩნდა წრიული ორმო
სამარხი (სამარხი №39).

კ3.70: აქაც ცენტრალურ ნანილში გამოიკვეთა პატარა ზო-
მის კონტური (სამარხი №38).

კ3.59: აღმოსავლეთი მონაკვეთზე გამოჩნდა ფხვიერ სილ-
ნარ ფენაში ჩაჭრილი სამარხი №37 (ტაბ. VII/1). და 36-ე სამარ-
ხის აღმოსავლეთი მონაკვეთი.

კ3.60: მე-60 და 50-ე კვადრატის მიჯნაზე აღმოჩნდა მორი-
გი სამარხი №35 (ტაბ.IX/1).

კ3.49: ზემოთაღნიშნული 36-ე სამარხის გარდა, გამოჩნდა
მცირე ზომის სამარხი №34.

კ3.39: ამ მონაკვეთზე სამარხის არსებობა არ დასტურდება.

კ3.40: ცენტრალურ ნანილში შემორჩენილი იყო აღაპის ნაშ-
თები. წრიული შემორჩენულობის ($0,7 \text{ მ}$); სიღრმე თანამედროვე
ზადაპირიდან $0,65 \text{ მ}$; პრეპარირებული იყო შავლაკიანი ჭურ-
ჭლის ნატეხები (ტაბ.V/1). ამავე კვადრატში შემოდის 33-ე სა-
მარხის აღმოსავლეთი მონაკვეთი.

კ3.29: სხვა კვადრატებისაგან განსხვავებით აქ სამარხთა
რიცხვი მეტია. ესენია № 41, 42, 43.

კ3.30: აღმოჩნდა მორიგი სამარხი, რომელშიც ჰერაკლური
ამფორა იყო ჩადგმული (სამარხი №40).

კ3.38: ჩრდილო-დასავლეთ მონაკვთზე აღმოჩნდა 44-ე- სა-
მარხი.

კ3.28: სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში გამოიკვეთა 45-ე სამარხის კონტური. ამავე კვადრატში ექცევა კიდევ ერთი სა-მარხის აღმოსავლეთი მონაკვეთი. შენაფერი არ გაკეთებულა. არსებითია, რომ სამაროვნის საზღვრები გრძელდება დასავ-ლეთის მიმართულებით, თანადროული ბერძნული ნეკროპო-ლისაკენ.

კ3. 37: აღმოჩნდა ორი სამარხი. ერთ-ერთი მათგანი მდება-რებს ჩრდილოეთ კუთხეში №46; ცენტრალურ ნაწილში ჩაჭ-რილი იყო 47-ე სამარხი(ტაბ.IX/2).

კ3. 27: კვადრატის დასავლეთი ნაწილში ჩნდება სამარხის აღმოსავლეთი მონაკვეთი, რომელიც გაუთხრელ ფართობში შედის. არც ეს სამარხი შეგვისწავლია ამჯერად.

მთელს ფართობზე ზემოთ აღნერილ სამარხთა კონტურე-ბის გამოჩენის შემდეგ გაკეთდა ფოტო და გრაფიკული ფიქსა-ცია, რასაც მოყვა თითოეული მათგანის პრეპარაცია. აქვე მო-ვიტან აღნერილობას.

სამარხი 33: აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ზომები: $2X0,9X1,2$ მ. თავის არეში ჩაუდგამთ შავლაკიანი წითელფიგუ-რული არიბალისებური ლეკითოსი. სამარხს ჰქონია ხის სახუ-რავი(ტაბ. VI/1,2).

სამარხი 34: ჩრდილო- აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ზომები: $1,2X0,6X0,9$ მ. უინვენტარო.

სამარხი 35: აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი, ოდნავ ჩრდილოეთისაკენ გადახრილი. ზომები: $1,2X0,95X0,9$ მ. ჩრდი-ლო-აღმოსავლეთ კუთხეში ჩაეყოლებინათ პატარა ზომის ქო-თანი, მის გვერდით წყვილნახვრეტიანი ბრტყელი ხუფი (ტაბ. VII/1).

სამარხი 36: 13: კვ.49-ე და 59-ე კვადრატების მიჯნა. აღმო-სავლეთისაკენ დამხრობილი. ზომები: $2X0,9X1,2$ მ. უინვენტარო (ტაბ. IX/2).

სამარხი 37: აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ზომები: $1,7X0,7X0,7$ მ. აღმოსავლეთ ნაწილში დაფიქსირდა თიხის ჭურ-ჭლის ფრაგმენტები (ტაბ.VIII/1).

სამარხი 38: აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ზომები: $0,65X0,5X1,2$ მ. უინვენტარო.

სამარხი 39: დამხრობის გარკვევა ჭირს. სამარხი წრიული მოყვანილობისაა. დიამეტრი $0,85$ მ, სიღრმე – $1,15$ მ. უინვენტა-რო.

სამარხი 40: აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ზომები: $2,1X1,4X1,2$ მ. ხის კუბოს გარეთ სამარხეული ორმოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ჩაუდგამთ ჰერაკლეური ენგლიფურ-დამღიანი ამფორა. ოდნავ ჩრდილოეთით წაფერდებული. ამ-ფორის ძირში აღმოჩნდა თიხის ადგილობრივი ჭურჭლის პირი. ამფორის პირთან ახლოს ჩნდებოდა შავლაკიანი სკიფოსის ნა-ტეხებიც(ტაბ.VII/1,2).

სამარხი 41: აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ზომები: $1X0,75X1,25$ მ. უინვენტარო.

სამარხი 42: ექცევა სილნარ ფხვიერ შრეში. რკინის ლურ-სმნების განლაგების მიხედვით მისი ზომებია: $1,8X0,8X0,95$ მ. აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ცენტრალურ ნაწილში გა-მოჩნდა თიხის ჭურჭლის ნატეხები. სამარხის სამხრეთ-დასავ-ლეთ კუთხეში პრეპარირებული იქნა ნაცრისფერკეციანი დო-ქის ფრაგმენტები. დასავლეთ მონაკვეთზე გრუნტის დონეზე აღმოჩნდა მძივები და ვერცხლის ორი მონეტა.

სამარხი 43: აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი ზომე-ბი: $1,2X0,55X1,1$ მ. უინვენტარო.

სამარხი 44: აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ოდნავ ჩრდილოეთისაკენ გადახრილი. ზომები: $1,45X0,9X1,5$ მ. უინვენ-ტარო.

სამარხი 45: აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ზომები: $2,1X0,9X1,3$ მ. ხის კუბოს $1,8X0,55X0,2$ მ. უინვენტარო.

სამარხი 46: დამხრობილი აღმოსავლეთიდან დასავლეთი-საკენ. ზომები: $1,2X0,7X1,5$ მ. უინვენტარო.

სამარხი 47: აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ოდნავ ჩრდილოეთისაკენ გადახრილი. ზომები: $2,1X1,1X1,15$ მ. ხის კუ-ბოს — $1,6X0,6X0,35$ მ. მარცხენა ფეხის არეში ჩაუდგამთ თიხის კოჭობი, მარჯვენა ფეხთან პრეპარირებულ იქნა ნაცრისფერ-კეციანი დოქი. ფეხების არეში, ზედა ლურსმნის დონეზე, აღ-მოჩნდა ყავისფერი კაჟის ანატკეცი (ტაბ. VIII/2).

როგორც ვხედავთ, სამარხეული ინვენტარი არ გამოირჩევა მრავალრიცხოვნებით. მოპოვებულია საერთო კავკასიური კულტურისათვის დამახასიათებელი თიხის ქოთანი რომელ-საც ზემოდან ეხურა დისკოსებური მოყვანილობის ხუფი. კიდე-ებზე წყვილი სავენტილაციო ნახვრეტი აქვს გაკეთებული. კე-ცი მოყვითალო-მონაცრისფრო. მსგავსი ხუფი პირველად აღ-მოჩნდა ფიჭვნარში.

ცოტაა დოქებიც. ესენიც ცალკეული ნატეხების სახითაა წარმოდგენილი.

42-ე სამარხის დოქს ყელის დასაწყისთან შემოუყვება მჭიდროდ განლაგებული წერტილოვანი ფოსოების პორიზონტალური რკალი. კეცი მოყვითალო-მოყავისფრო. სქელკედლი-ანი. არის ყურმილიანი დოქის ნატეხებიც (№37).

ახალი სამარხეული კომპლექსები უმეტესად დარიბ ფენას ეკუთვნის. მიუხედავად ამისა, ამ სოციალური წრის წარმომადგენლები მაინც ამჟღავნებენ გარკვეულ მიდრეკილებას უცხოური ნაკეთობებისადმი. ამ მიმართებით პირველ რიგში აღსანიშნავია ჰერაკლეური ამფორა. მთლიანად დაცული. აქს გარეთკენ მიმართული სამკუთხა განიკვეთიანი პირი. მაღალი ცილინდრული ყელი. თანაბრად დაქანებული ოდნავ მომრგვალებული მხრები. კონუსური ტანი. ცილინდრული ფორმის ძირი. ამფორის ყელზე კარგადაა შემონახული ენგლიფური დამაღლა **ΡΙΤΙΠΠΟΣ** – არისტოპო (ტაბ. II / 3).

წითელფიგურული არიბალისებური ლეკითოსი. ფორმა ტიპური. ქუსლი პროფილირებული, ლარით გამოყოფილი. გამოსახულია ქალის ფიგურა. მარცხენა ხელში ზარდახშა უჭირავს. უკან განვდილ მარჯვენაში კი – ორად გაკეცილი ტილო. ნახატი სქემქტურია. სამოსი გადმოცემულია დიაგონალური ხაზებით. საყრდენ არედ მოცემულია თიხისფერში დატოვებული ჰეროიზონტალური ზოლი. კომპოზიციის მარჯვენა კუთხეში დატანილია მცენარეული ორნამენტი. (ტაბ. II / 1).

როგორც ითქვა, აღაბზე წარმოდგენილი იყო მხოლოდ **შავლაკანი სკიფოსის** ნატეხებით. ძირი რგოლისებური. გარეთა ზედაპირი რეზერვირებული. ტანი შედარებით თხელკედლიანი. პირი გარეთკენ გადაშლილი. ყურები მიძერნილია პირთან საკმაოდ ახლოს. ეტყობა აღაპის შესრულებაში ფიჭვნარელმა ელინებმა მიიღეს მონაწილეობა და შესაბამისად მხოლოდ და მხოლოდ ჩვენამდე მოაღწია იმპორტული ჭურჭლის ფრაგმენტებმა.

მე-40 სამარხში წარმოდგენილი იყო **შავლაკანი სკიფოსის** ტანის ზედა ნახევარი. პირთან მოძერნილია რგოლისებური ყური; ასევე ძირი, რომლის გარეთა ზედაპირი რეზერვირებულია. ძვ.ნ. IV საუკუნის შავლაკანი სკიფოსები ხშირად ჩნდება ფიჭვნარის თანადროული ბერძნების ნეკროპოლის გათხრებისას [ა. კახიძე. ე.კახიძე, 2014:27,31,32; ტაბ. 14/7;23/11;35/3;70/4]. რაც

განსაკუთრებით საყურადღებოა, ღვინის სმასთან განკუთვნილ ამ ელინურ ფორმას ფიჭვნარში ადგილობრივი მინაბაძიც გამოუჩინდა [ა.კახიძე, ე.კახიძე, 2014:42; ტაბ: 30/2; 41/6].


სხვა სახის იმპორტული ნაკეთობებიდან აღსანიშნავია **ნაცრისფერკეციანი დოქის ნატეხები**(ტაბ.II/2). ფართოქუსლიანი. ქუსლის გარეთა კალთა სწორია, შიდა მომრგვალებული. ტანი მომაღლო. ყელი ფართო, ცილინდრული. შემოუყვება ჰორიზონტული ღარები. პირი მკვეთრად გამოყოფილი, სამკუთხაგანივეთიანი ყური ორადაა გაკეცილი. სკიფოსების მსგავსად სხვადასხვა სახის ნაცრისფერკეციანი ჭურჭელი ფართოდ ჩანს გავრცელებული ფიჭვნარელ ელინთა შორის [ა.კახიძე, ე.კახიძე; 2014:34-39; 14/4;12; 15/2,6; 17/5.10; 19/2; 20/13; 14; 22/8;24/8;24/12; 30/1,10; 31/6; 37/3.8; 44/7; 62/2; 67/6].

სხვა ნაკეთობებიდან გვხვდება **კაჟის ანატკეცი** (47-ე სამარხი). მოყავისფრო, ზურგის მხარეს ჩანს ორი ფერდი. თავი გადატეხილია. იარაღის ბოლოზე ჩანს წვრილი რეტუშის კვალი. ნატიფად დამუშავებული. მუცლის მხარეს კი ტალღოვანი ზედაპირი აქვს. ორივე მხარეს ეტყობა ატკეცის ნიშნები. ასევე, გამოყენების კვალი (3X2,7 სმ).


რაც შეეხება სამკაულებს, მხოლოდ **მძივებია** აღმოჩენილი, ისიც, ერთ სამარხში (№42). ძირითადი ნანილი დამზადებულია ფაიანსისაგან. რგოლისებური, სადა, ე.წ. იოტები. რამდენიმე ცალი ლურჯი მინის რომბული ფორმის მძივებია. მსგავსი ფორმის მძივებიც გამოერია. მსგავსი ფორმის მძივები გვხვდება მთელი ანტიკური პერიოდის განმავლობაში როგორც საქართველოში, ასევე, ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში [ა.კახიძე, ე.კახიძე, 2014:45-46; მ.თურმანიძე, 2005:45-50]: **Алексеева, 1975:31, ტაბ. 5, ტიპი 1].**

ძვ.წ. IV ს კოლხურ, ძვ.წ. V-IV საუკუნეების ბერძნულ და ელინიზმის ეპოქის სამარონებთან შედარებით ძვ.წ. IV საუკუნის კოლხურ სამაროვანზე ჯერ კიდევ, ძალზე ცოტა მაშტაბის საველე-სამუშაოა განხორციელებული. ამიტომაც, მომავლი-სათვის ერთ-ერთ ძირითად ობიექტს, სწორედ ეს ძეგლი წარმოადგენს. საერთოდ კი, ფიჭვნარის სამაროვნების სახით სახეზეა, ვრცელ ტერიტორიაზე მომცვლელი სამაროვნები, რომლის მსგავსი აღმოსავლეთ პონტოსპირეთში ჯერ კიდევ არაა მიკვლეული.

XIII



XLIV



III



1



2

IV



1



2


V




1



2



1



2



1



2



1



2



1



2

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ა. კახიძე, ნ.ძნელაძე, თ.შალიკაძე, მ. თურმანიძე**, – ფიჭვნარის ექსპედიციის 2012წლის საველე კვლევა-ძიებების ანგარიში;- “აჭარა წარსული და თანამედროვეობა”, 2013;
2. **ა. კახიძე, ნ.ძნელაძე, მ. თურმანიძე, თ. ფარტენაძე**, – ფიჭვნარის სამაროვანებზე 2013წელს განხორციელებული კვლევა-ძიების ანგარიში – “აჭარა წარსული და თანამედროვეობა” 2015:1;
3. **ა.კახიძე, ე.კახიძე**, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის შედეგები – ფიჭვნარი V ; 2014;
4. **4.Алексеева Е.М.**, Античные бусы Северного Причерноморья, вып. Г1-12, САИ, М., 1975;
5. **მ. თურმანიძე**, მძივსამკაული ფიჭვნარის ძვ.ნ. Vსაუკუნის ბერძნული ნეკროპოლიდან. – შრომები III – ბათუმი 2005.

Miranda Turmanidze

Colchic graveyard of BC. IV century Summary

In 2017, our research object was Colchic graveyard of BC. IV century. The aim of the excavation was to study the agricultural life and cultural issues of this era. These issues are discussed in the presented work.

**ირინე ვარშალომიძე
ნინო ძელაძე**

**ხარითონ ახვლედიანის სახელობის აზარის
მუზეუმში დაცული გიორგი III მონატეპი**

ხარითონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმში დაცულ მრავალფეროვან ნუმიზატიკურ კოლექციაში გვხვდება ქართული საფასეებიც, რომლებიც გამოუქვეყნებელია. ამჯერად ჩვენი მიზანია შევისწავლოთ და სამეცნიერო მიმოქცევაში შევიტანოთ გიორგი III (1156-1184 წწ.) ნუმიზატიკური მემკვიდრეობა.

1. საინვენტარო №2605. სპილენძი. შემოსულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზატიკის კაბინეტიდან (1958 წ. აქტი №108).

შუბლი: ხვეული ხაზებისგან შემდგარი ვარდულის ცენტრში მოთავსებული გიორგის სახელის აღმნიშვნელი ასომთავრული ინიციალი ბ, ვარდულის ბუდეებში არაბულად: یهودی حسام، الملوك ملک، کیورکی (მეფეთა მეფე გიორგი, მესიის მახვილი).

ზურგი: ხვეული ვარდულის ბუდეებში არაბული ზედნერილი: **المومنين / امير / الله / لامر / المفتى** (ალ-მუქთაფი ლი-ამრ ალლაჰი (1136-1160 წწ.), მართლმორნებულებით მბრძანებელი) [ტიპი, დუნდუა, ჯალალანია, 2009:35].

2. საინვენტარო №2606. სპილენძი. მონეტა დაკბილულია. შემოსულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზატიკის კაბინეტიდან (1958 წ. აქტი №108).

შუბლი: ხვეული ხაზებისგან შემდგარი ვარდულის ცენტრში მოთავსებული გიორგის სახელის აღმნიშვნელი ასომთავრული ინიციალი ბ, ვარდულის ბუდეებში არაბულად: یهودی حسام، الملوك ملک، کیورکی (მეფეთა მეფე გიორგი, მესიის მახვილი).

ზურგი: ხვეული ვარდულის ბუდეებში არაბული ზედნერილი: **المومنين / امير / الله / لامر / المفتى**

ალ-მუქთაფი ლი-ამრ ალლაჰი (1136-1160 წწ.), მართლმორნებულებითა მბრძანებელი.

3. საინვენტარო №1527. სპილენძი, უნესო ჭრა. მუზეუმში შემოსულია 1916 წ.

შუბლი: ხვეული ხაზებისგან შემდგარი ვარდულის ცენტრში მოთავსებული გიორგის სახელის აღმნიშვნელი ასომთავრული ინიციალი ბ, ვარდულის ბუდეებში არაბულად: **الْمَسِيحُ حَسَّامُ الْمُلُوكُ مَلِكُ كِبِيرٍ** (მეფეთა მეფე გიორგი, მესინის მახვილი).

ზურგი: ხვეული ვარდულის ბუდეებში არაბული ზედნერილი: **الْمُوْمِنِينَ / اَمِيرٌ / اللَّهُ لَا مُرْسَلٌ** (ალ-მუქთაფი ლი-ამრ ალლაჰი (1136-1160 წწ.), მართლმორნებულებითა მბრძანებელი).

4. საინვენტარო №1224. სპილენძი, წესიერი ჭრა, მონეტა და პეილულია. შემოსულია 1916.

შუბლი: ხვეული ხაზებისგან შემდგარი ვარდულის ცენტრში მოთავსებული გიორგის სახელის აღმნიშვნელი ასომთავრული ინიციალი ბ, ვარდულის ბუდეებში არაბულად: **الْمَسِيحُ حَسَّامُ الْمُلُوكُ مَلِكُ كِبِيرٍ** (მეფეთა მეფე გიორგი, მესინის მახვილი).

ზურგი: ხვეული ვარდულის ბუდეებში არაბული ზედნერილი: **الْمُوْمِنِينَ / اَمِيرٌ / اللَّهُ لَا مُرْسَلٌ** (ალ-მუქთაფი ლი-ამრ ალლაჰი (1136-1160 წწ.), მართლმორნებულებითა მბრძანებელი).

5. საინვენტარო №23413/2. სპილენძი. შესყიდულია 2008 წ.

6. ბაგრატ აკუჯბასაგან (ბათუმი).

შუბლი: ხვეული ხაზებისგან შემდგარი ვარდულის ცენტრში მოთავსებული გიორგის სახელის აღმნიშვნელი ასომთავრული ინიციალი ბ, ვარდულის ბუდეებში არაბულად: **الْمَسِيحُ حَسَّامُ الْمُلُوكُ مَلِكُ كِبِيرٍ** (მეფეთა მეფე გიორგი, მესინის მახვილი).

ზურგი: ხვეული ვარდულის ბუდეებში არაბული ზედნერილი: **الْمُوْمِنِينَ / اَمِيرٌ / اللَّهُ لَا مُرْسَلٌ** (ალ-მუქთაფი ლი-ამრ ალლაჰი (1136-1160 წწ.), მართლმორნებულებითა მბრძანებელი).

6. საინვენტარო №23413/3. სპილენძი. შესყიდულია 2008
წ. ბაგრატ აკუჯბასაგან (ბათუმი).

შუბლი: ხვეული ხაზებისგან შემდგარი ვარდულის ცენტრში მოთავსებული გიორგის სახელის აღმნიშვნელი ასომთავრული ინიციალი ბ, ვარდულის ბუდეებში არაბულად: (الْمَسِيحُ حَسَّامُ، الْمُلُوكُ مُلَكٌ، كِيُورُكِيٌّ)
მახვილი).

ზურგი: ხვეული ვარდულის ბუდეებში არაბული ზედნერილი: (الْمُوْمُنِينَ / اَمِيرٌ / لَهُ اَمْرٌ/ الْمُقْتَفَى) (ალ-მუქტაფი ლი-ამრ ალლაჰი (1136-1160 წწ.), მართლმორნმუნეთა მპრძანებელი).

7. საინვენტარო №1522. სპილენძი. შეძენილია ოლგა მინოშვილისაგან 1914 წ.

შუბლი: აზიურ-ბიზანტიურ სამოსელში გამოწყობილი გიორგი III მარცხენა ხელით დოინჯშემოყრილი ფეხმორთხმით ზის პირდაპირ. მას მეორე განვდილ ხელზე შევარდენი უზის. თავს საიმპერატორო სტემა უმშვენებს. მონეტის არეზე გაფანტულია ქართული მხედრული წარწერა, რომელიც იუნიება მეფის სახელს (შემოკლებულად – გი), უნდა იყოს ასომთავრული წარწერა: ძრკტიზდ ქორონიკონსა 394 (1174 წ.), მაგრამ გადასულია.

ზურგი: ზურგი დაზიანებულია, უნდა იყოს სამსტრიქონიანი არაბული ზედნერილი:

الملوك ملك
ديمطري بن كيوركى
المسيح حسام

მეფეთა მეფე გიორგი, ძე დემეტრესი, მესიის მახვილი
[ტიპი-დუნდუა, ჯალალანია, 2009:35]

8. საინვენტარო №1526. სპილენძი. შეძენილია ოლგა მინოშვილისაგან 1914 წ.

შუბლი: ხვეული ხაზებისგან შემდგარი ვარდულის ცენტრში მოთავსებული გიორგის სახელის აღმნიშვნელი ასომთავრული ინიციალი ბ, ვარდულის ბუდეებში არაბულად: (الْمَسِيحُ حَسَّامُ، الْمُلُوكُ مُلَكٌ، كِيُورُكِيٌّ) მეფეთა მეფე გიორგი,

მესიის მახვილი).
ზურგი: ხვეული ვარდულის ბუდეებში არაბული ზედნერი-ლი: / لامِر المُقْتَفَى / امیر / المُومِنِينَ (المومنين) (ალ-მუქტაფი ლი-ამრ ალლაჰი (1136-1160 წწ.), მართლმორ-ნმუნეთა მბრძანებელი).

9. საინვენტარო №1528. სპილენძი. შეძენილია ოლგა მი-მინოშვილისაგან 1914 წ.

შუბლი: ხვეული ხაზებისგან შემდგარი ვარდულის ცენ-ტრში მოთავსებული გიორგის სახელის აღმნიშვნელი ასომ-თავრული ინიციალი ბ, ვარდულის ბუდეებში არაბუ-ლად: (المسيح حسام، الملوك ملك، كيوركى) (მეფეთა მეფე გიორგი, მესიის მახვილი).

ზურგი: ხვეული ვარდულის ბუდეებში არაბული ზედნერი-ლი: / لامِر المُقْتَفَى / امیر / المُومِنِينَ (المومنين) (ალ-მუქტაფი ლი-ამრ ალლაჰი (1136-1160 წწ.), მართლმორ-ნმუნეთა მბრძანებელი).

10. საინვენტარო №1532. სპილენძი. შეძენილია ოლგა მი-მინოშვილისაგან 1914 წ.

შუბლი: ხვეული ხაზებისგან შემდგარი ვარდულის ცენ-ტრში მოთავსებული გიორგის სახელის აღმნიშვნელი ასომ-თავრული ინიციალი ბ, ვარდულის ბუდეებში არაბუ-ლად: (المسيح حسام، الملوك ملك، كيوركى) (მეფეთა მეფე გიორგი, მესიის მახვილი).

ზურგი: ხვეული ვარდულის ბუდეებში არაბული ზედნერი-ლი: / لامِر المُقْتَفَى / امیر / المُومِنِينَ (المومنين) (ალ-მუქტაფი ლი-ამრ ალლაჰი (1136-1160 წწ.), მართლმორ-ნმუნეთა მბრძანებელი).

ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმში და-ცულია 10 ცალი გიორგი III-ის (1156-1184 წწ.) სახელით მოქ-რილი სპილენძის მონეტა. XII საუკუნის დასაწყისიდან ქარ-თულ ნუმიზმატიკაში მკვეთრად გამოხატული „სპილენძის ხანა“. ე.წ. ვერცხლის კრიზისი მახლობელ აღმოსავლეთში თავის ზენიტშია და ყოველივე საქართველოს სამონეტო საქ-მეზეც ახდენს ზეგავლენას. დემეტრე I-ის დროიდან მოკიდე-ბული რუსუდანის მეფობამდე ქართული მონეტები იჭრება

მხოლოდ და მხოლოდ სპილენძისგან. ეს სამონეტო საქმის ერთი თავისებურებაა. მეორე თავისებურება ის გახლავთ, რომ XII საუკუნეში მონეტის გარეგნული სახე მკვეთრად შეიცვალა – აქამდე მიღებულ კანონზომიერ მოყვანილობას, სიმრგვალეს მონეტა კარგავს. ამიერიდან ფულის უმეტესი ნაწილი შემთხვევითი ფორმის სპილენძის ფირფიტების სახით იჭრება. ხშირად, ფირფიტის სიმცირის გამო, სიქის ანაბეჭდი მასზე მთლიანად ვერ თავსდებოდა. მონეტის მოჭრის ეს წესი თავდაპირველად აღმოსავლეთის ქვეყნებში იქნა დანერგილი და ჩვენშიც მტკიცედ მოიკიდა ფეხი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ე.ნ. „უნესოდ“ მოჭრილ მონეტებს ვაჭრობის დროს დებულობდანენ უკვე წონის და არა თვლის ანგარიშით [დუნდუა, დუნდუა, 2006:201]. „უნესოდ“ მოჭრილი ფულის პარალელურად, რა თქმა უნდა, იჭრებოდა მრგვალი ფორმის მონეტებიც. გიორგი III-ის (1156-1184 წწ.) „უნესოდ“ მოჭრილი სპილენძის მონეტა დემეტრე I-ის საფასის ვარიანტს წარმოადგენს და განსხვავდება მეფის სახელის ინიციალით. ასომთავრული დონის ნაცვლად აქ გიორგის ინიციალია ამოკვეთილი ასომთავრულითვე. გაერთიანებული საქართველოს ძლიერი მეფე გიორგი III თავის მონეტაზე არაბულ ზედნერილებსა და ხალიფას სახელს ათავსებს. დემეტრესა და გიორგი III-ის ასეთი კონკრეტული ჟესტი ნაკარნახევი იყო წმინდა ეკონომიკური მოტივებით, რადგან ქართულ მონეტებს გზა უნდა გაეკვლია მახლობელი აღმოსავლეთის ბაზრისკენ, ამას კი არაბული ლეგენდა და ხალიფას სახელის მოხსენიება უთუოდ უწყობდა ხელს. ამავე დროს წარნერის შინაარსი იმასაც ატყობინებდა მუსლიმურ სამყაროს, რომ, ვთქვათ, გიორგი III „მეფეთა მეფე“ და „მესიის მახვილი“ იყო [დუნდუა, დუნდუა, 2006:204].

ჩვენ მიერ აღნერილი საფასეების აღმოჩენის ადგილი უცნობია, მაგრამ მათი უმრავლესობა შეძენილია ადგილობრივი მოსახლეობისაგან, ამიტომაც მათი შესწავლა და გამოქვეყნება აუცილებლად მივიჩნიეთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დუნდუა, დუნდუა, 2006: – გიორგი დუნდუა, თედო დუნდუა, ქართული ნუმიზმატიკა, თბილისი, გამომც. არტა-ნუჯი;
2. დუნდუა, ჯალალანია, 2009: – გიორგი დუნდუა, ირინე ჯალალანია, ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბილისი, გამომც. ნეკერი

Irine Varshalomidze

Nino Dzneladze

The coins of George III preserved in Khariton Akhvlediani Museum of Ajara

Summary

Georgian coins are also found in a variety of numismatic collections preserved in Khariton Akhvlediani Museum of Ajara, among them are the coins of George III. Their number reaches 10. They are not accurately documented but the main part of them is purchased from the local population. That's why their study and inclusion in the scientific circulation is important for the survey of the monetary economy of South-Western Georgia.

ტაბ. I



1

2



3

4



5

85d. II



1

2



3

4



5

**კახაბერ ქამადაძე
გურამ ჩხატარაშვილი
მერი ყულეჯიშვილი**

არქეოლოგიური გათხრები გვარას ციხეზე

2018 წლის 23 მაისიდან 14 ივნისამდე აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დაფინანსებით არქეოლოგიური სამუშაოები ვაწარმოეთ გვარას ციხეზე¹². ექსპედიციის მიზანს წარმოადგენდა ციხის შიდა ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა ნაგებობების შესწავლა, ძეგლის ფუნქცია-დანიშნულების, მისი მშენებლობის თარიღის, აღმოჩენილი მასალების ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური კლასიფიკაცია.

ციხე მდებარეობს მდ. მაჭახლის წყლისა და ჭოროხის ხერთვისში ზღვის დონიდან 429 მ სიმაღლეზე (GPS კორდინატები: N 41°31.005'; E 041°43.131') (სურ.1). იგი დაშენებულია მაღალ, წინ წამოწეულ კლდოვან ბორცვზე. დამხრობილია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და მორგებულია კლდოვან რელიეფს (ზომები: 27x17 მ). აქედან შესანიშნავად მოსჩანს როგორც ჭოროხის, ისე მაჭახლის წყლის ხეობის კარგა მოზრდილი სივრცე. მისი დიდი ნაწილი დანგრეულია. შედარებით კარგადაა შემორჩენილი გალავნის კედლების ჩრდილოეთი მხარე. ნაგებია სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქვებით, არანესიერი წყობით. აქა-იქ გალავნის კედლებში თუ შიდა სივრცეში გამოვლენილ ნაგებობებში გამოყენებულია კარგად გათლილი კვადრები. გალავნის ჩრდილოეთი კედლის წყობაში დატანებულია მოზრდილ ქვაზე ნაკვეთი ჯვრის გამოსახულებაც. კედლის წყობის ხასიათი მის არქაულობაზე მიუთითებს.

¹². ექსპედიცია მუშაობდა შემდეგი შემადგენლობით: შოთა მამულაძე (ხელმძღვანელი), კახაბერ ქამადაძე (რაზმის ხელმძღვანელი), ლაშა ასლანიშვილი, გურამ ჩხატარაშვილი (არქეოლოგები), გიორგი დუმბაძე (მხატვარი), მერი ყულეჯიშვილი (ლაბორანტი), სულხან მამულაძე (დოქტორანტი), ნოდარ დევაძე (მძღოლი).

ციხეს ერთადერთი მისასვლელი სადღეისოდ ჩრდილო-დასავლეთ მხრიდან აქვს. სწორედ აქედან ციხეზე ასასვლელ გზას აკონტროლებს გალავანში ჩართული კოშკი, რომელიც არაწესიერი მართკუთხედია (ზომები: 5,40x2,40 მ). მისი შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე 3 მეტრს აღწევს. კოშკიც გალავნის მსგავსად ნაგებია ფლეთილი, სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქვებით, არაწესიერი წყობით. კოშკს აღმოსავლეთით მიშენებული აქვს ოთკუთხა გეგმის კონტრფორსი. ხოლო მის გვერდზე ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ციხის გალავანს პარალელურად მიუყვება საკმაოდ სქელი კედელი, რომლის სიგანე 65 სმ-ია. იგი 2,85 მ მანძილზე გრძელდება და ებმის აღმოსავლეთით გალავნის კედელს. როგორც ჩანს თავის დროზე აქედან უნდა ყოფილიყო ციხეში შესასვლელი. ჩრდილოეთის გალავნის კედელსა და პარალელურ კედელს შორის დაშორება 1,72 მ აღწევს. მათ შორის – პარალელური კედლის სამხრეთ კუთხეში ჩაჭრილია 1,60 მ სიგრძისა და 0,70 მ სიგანის ოთკუთხა ორმო, რომლის იატაკი კირდულაბითაა მოგებული. ორმოს სამხრეთით ამოკვეთილია პატარა 0,45 მ სიგრძისა და 0,35 მ სიგანის მართკუთხა ზომის ხვრელი. შესაძლოა ეს იყოს სალოდე, რომელიც იცავდა ჩრდილოეთიდან ციხის შიდა ტერიტორიაზე შემოსასვლელს.



სურ. 1

ჩრდილოეთი კედლიდან 6 მ-ის დაშორებით მდებარეობს საკმაოდ დიდი ზომის კვადრატული გეგმის ქვის ბურჯი. მისი ზომებია: 2x2 მ. დღეისათვის მისი შემორჩენილი სიმაღლე 3,50 მ-ია.

სწორედ ესაა ციხის ცენტრალური ნაწილი. ბურჯის ირგვლივ წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა 24 ქვევრისაგან შედგენილი მარანი. მათი უმეტესი ნაწილი საკმაოდ სქლადაა ჩაკირული. პარალელური მასალების მიხედვით მარანი კარგად თარიღდება XI ს-ით.

ციხის სამხრეთ აღმოსავლეთ კუთხეში მდებარეობს კიდევ ერთი ნაგებობა. იგი იატაკიდან 0,60 მ-ითაა ამაღლებული და მართკუთხა გეგმისაა. (ზომები: 4x3,50 მ). მისი იატაკი თავის დროზე კირხსნარით ყოფილა მოგებული. ბაქანი შემოვაკებულია სხვადასხვა ზომის კარგად გათლილი კვადრებით. მის შიდა სივრცეში ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ჩასმულია საშუალო ზომის ქვევრი, რომელიც დღეს სანახევროდაა შემორჩენილი. შემაღლებული ბაქნიდან სამხრეთ-დასავლეთით ციხის სამხრეთის კედელში მდებარეობს თაღოვანი ნიშა (ზომები: სიმაღლე: 2,55 მ, სიგანე 0,65 მ). თაღოვანი ნიშის დასავლეთ კუთხეში მოთავსებულია სამკუთხა გეგმის შეღრმავება (ზომები: სიმაღლე 0,80 მ, სიგანე 0,65 მ, სიღრმე - 0,65 მ), რომლითაც ავდივართ ციხის ზედა ნაწილში. თაღოვანი არკის თავზე განთავსებულია არანესიერი სამკუთხედის ფორმის სათავსი, რომლის იატაკიც ასევე კირხსნარითაა მოგებული. მის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მდებარეობს ოვალური ფორმის ჭა, რომლის სიღრმე სადღეისოდ 6 მ-მდე აღნევს.

ციხის შიდა ტერიტორიაზე წელს ექსპედიციამ მოახერხა შეესწავლა მხოლოდ გვიანი შუასაუკუნეების პერიოდის (XVII-XVIII სს) მძლავრი კულტურული ფენა, რომელიც წარმოდგენილია სხვადასხვა სახის კერამიკით: დოქების, ქოთნების, კეცების პირ-კალთის, ძირისა თუ კედლის ნატეხებით; წითელკეციანი ჩიბუხებით, მოჭიქული ჯამებით და ა.შ. აღმოჩენილ მასალებს მოეპოვებათ უამრავი პარალელი, როგორც დასავლეთ ისე აღმოსავლეთ საქართველოს თანადროულ ძეგლებზე აღმოჩენილ მასალათა შორის და კარგად თარიღდებია XVI-XVIII სს-ით (მინდორაშვილი, 2009:33;

2010:97; 2015ა:12-183; 2015ბ:129-146; მამულაძე, 1993:64; ხალვაში... 2017: 68-109; კახიძე... 1989: 47; არჩვაძე, 1978: 179-18; ჭილაშვილი, 1958: 108; ჯაფარიძე, 1956: 22; ლომთათიძე, 1989: 201; ჩიკონძე, 1979: 53; ჩხაიძე, 1982: 114-128; თავამაიშვილი, 2009: 167-168; ქამადაძე, 2016: 102-134 და აშ.).

გვარას ციხე წიგალისა და მაჭახლის ხეობის გასაღები იყო. ამ ციხესთან გაივლიდა შავშეთისა და კლარჯეთისაკენ მიმავალი გზები. ციხის ძირითადი დანიშნულებაც მდ. ჭოროხისა და მაჭახლის წყლის ხეობაზე ზღვისპირეთისაკენ თუ ზღვისპირეთიდან კლარჯეთთან, არტანუჯთან, მცირე არმენიასთან დ აღმოსავლეთ საქართველოსთან დამაკავშირებელი გზების გაკონტროლება იყო (კახიძე, მამულაძე, 2016: 92; მამულაძე, 2009: 182; სიხარულიძე, 1958: 183-184).

იგი ყველა ეპოქაში თავისი ადგილმდებარეობით მიმზიდველი იყო. წინა წლებში ციხის ტერიტორიაზე ჩატარებული დაზვერვითი ხასიათის გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალების მიხედვით ფიქრობენ რომ ამ ადგილას ციხე ადრეც (VI-VII სს-შ) არსებობდა (კახიძე, მამულაძე, 2016: 92; მამულაძე, 2009: 182). ხელსაყრელი მდებარეობის გამო იგი მოგვიანებითაც გამოუყენებიათ. ციხის განახლება XI ს-ში უნდა მომხდარიყო და XI ს-დან XX ს-ის I ნახევრამდე დიდ როლს ასრულებდა მდ. ჭოროხის ხეობის ერთიანი თავდაცვითი სისტემის ჯაჭვში.

არქეოლოგიური გათხრები გვარას ციხეზე სამომავლოდაც გაგრძელდება.

ლიტერატურა:

1. **არჩვაძე, 1978:** არჩვაძე თ., აღმოსავლეთ საქართველოს გვიან ფეოდალური ხანის მოუჭიქავი თიხის ნანარმი //ფსაd. III, 11-131. თბილისი
2. **თავამაიშვილი, 2009:** თავამაიშვილი გ., გვიანი შუასაუკუნეების არქეოლოგიური მასალა ბათუმის ციხიდან//საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ბა-

თუმი: წარსული და თანამედროვეობა“ მასალები, 166-170. ბათუმი

3. **კახიძე...1989:** კახიძე ა, ხახუჭაიშვილი დ., მასალები ბა-თუმის ძველი ისტორიისთვის// სდსძ, XVIII. თბილისი
4. **კახიძე, მამულაძე, 2016:** კახიძე ა, მამულაძე შ., აჭარის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი. 2016.
5. **ლომთათიძე 1989:** ლომთათიძე გ., არქეოლოგიური კვლევა-ძება ალგეთისა და ივრის ხეობაში. თბილისი
6. **მამულაძე 1993:** მამულაძე შ., აჭარისწყლის ხეობის შუა-საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები. ბათუმი
7. **მამულაძე, 2009:** მამულაძე შ., გზები, საგზაო ნაგებობები და საფორტიფიკაციო ნაგებობანი//სამხრეთ-დასავ-ლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა II, ბა-თუმი 2009: 171-183
8. **მინდორაშვილი, 2009:** მინდორაშვილი დ., არქეოლოგიუ-რი გათხრები ძველ თბილისში. თბილისი
9. **მინდორაშვილი, 2010:** კვეტერის ციხის არქეოლოგიური მასალა. თბილისი
10. **მინდორაშვილი, 2015ა:** მინდორაშვილი დ., ხიხანის ცი-ხეზე 2013 წელს ჩატარებული გათხრების ანგარიში// აჭარა, წარსული და თანამედროვეობა II, 132-183. ბათუ-მი
11. **მინდორაშვილი, 2015ბ:** საქართველოს არქეოლოგია, II- III, ბათუმი. 2015
12. **სიხარულიძე, 1958:** სიხარულიძე ი., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა. I, ბათუმი
13. **ქამადაძე 2016:** ქამადაძე კ., სამხრეთ-დასავლეთ საქარ-თველო (აჭარა) გვიან შუასაკუნეებში წერილობითი წყა-როებისა და არქეოლოგიური მასალების მიხედვით). დი-სერტაცია. ბათუმი
14. **ჩხაიძე, 1982:** ჩხაიძე ლ., გვიან ფეოდალური ხანის კერა-მიკული ნანარმის ერთი სახეობა გონიოდან// სდსძ, XI, 114-127. ბათუმი
15. **ჩიკოიძე, 1979:** ჩიკოიძე ც., ქალაქი თელავი. თბილისი
16. **ჭილაშვილი, 1958:** ჭილაშვილი ლ., ქ. რუსთავი. თბილისი

17. **ხალვაში...2017:** ხალვაში მ, მამულაძე შ, მინდორაშვილი დ., არქეოლოგიური გათხრები ზენდიდში/ ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, VII
18. **ჯაფარიძე, 1956:** ჯაფარიძე ვ., ქართული კერამიკა (XI-XIII სს). თბილისი

*Kakhaber Kamadadze,
Guram Chkhatarashvili,
Meri Kulejishvili*

*Archaeological excavations in Gvara Castle
Summary*

The Gvara Castle is located in the village of Gvara, Khelvachauri municipality, at the confluence of the Machakhistskali and the Chorokhi. The castle is built on a high protruded rocky hill which has excellent views of a rather large area of Chorokhi and Machakhistskali gorges. It controlled old roads crossing the Chorokhi and Machakhistskali gorge. Major part of the castle is ruined. Northern part of the curtain walls is relatively better preserved. Well-treated stones are used in the masonry. Remains of structures of different epochs are preserved on the inner area of the castle. Most of them are ruined. Particularly interesting is a well-preserved water reservoir in the central part of the inner fort. A representation of a cross carved on a large stone is inserted in the masonry of the northern part of the curtain wall.

სულხან მამულაძე

ზრაქები გონიო აფსაროსიდან უახლესი აღმოჩენების მიხედვით

ჭრაქები საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთებია, რომლებიც გამოიყენებოდა საცხოვრებელი თუ საზოგადოებრივი (ტაძარი, აბანო, თეატრი, აკლდამა და ა.შ.) დანიშნულების ნაგებობების გასანათებლად. რელიგიური რიტუალებისა და დღესასწაულების დროს განსაკუთრებული განათება იყო საჭირო. ხშირია სანათების მიცვალებულისათვის სამარხში ჩატანების ფაქტი, საიქიოს გზის განათების მიზნით, რაც დაკავშირებულია იმდროინდელ რელიგიურ რწმენა-ნარმოდგენებთან და დასაკრძალავ რიტუალში გამოყენებასთან.

გარკვეული პერიოდიდან სანათები მხატვრულ-ესთეტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ფუნქციასაც იძენენ. სანათთა ფუნქციიდან გამომდინარე, მათი ქრონოლოგიური და გეოგრაფიული არქალი ფართოა. მათ ვხვდებით კაცობრიობის განვითარების ისტორიის თითქმის ყველა პერიოდში (ზედა პალეოლითიდან დღემდე) და მსოფლიოს ყველა კუთხეში. უძველესი სანათები ნაპოვნია პალეოლითურ მდვიმებში [ჩარკვიანი, 2014]. პირველი წერილობითი წყარო, სადაც სანათზეა საუბარი, ჰომეროსის “ოდისეა”-ა (XIX სიმღერა): “წინ მოუძღვდათ მათ ათენა დიდი ქალმერთი, ოქროს ნათელი სანათური ხელში ეჭირა” [პომეროსი, 1979:343]. ახ.ნ.II საუკუნის ცნობილი ბერძენი მოგზაური და გეოგრაფიის პავსანიასი თავის ნაწარმოებში “ელადის ალნერა” მოიხსენიებს ბერძენ მოქანდაკე კალიმაქოსს (ძვ.წ. V ს.), რომელმაც ქალმერთ ათენასთვის ოქროს სანათი შექმნა, რომელიც ათენის აკროპოლისზე, ერექტეიონში ჩაუქრობლად ენთო, რადგან პატრუქი კარპასიური სელისაგან იყო დამზადებული [Павсаний, 2002:70]. დროთა განმავლობაში იცვლებოდა ჭრაქების ფორმა, დამზადების ტექნოლოგია და შემკულობა. სანათები სხვადასხვა გეომეტრიული თუ სტილიზებული ორნამენტით იყო შემკული, მათზე ხშირად გამო-

ისახებოდა როგორც მითოლოგიური და რელიგიური სიუჟეტები, ისე საყოფაცხოვრებო სცენები და საგნები. პატრუქის დასამზადებლად ლერწმის გულს, სელსა და კანაფს იყენებდნენ, ხოლო საწვავად – თხილის, ყაყაჩოს, წიფლის, სელის, ზეითუნის ზეთს ან ქონს, შესაძლებელია ნავთობიც ეხმარათ. პატრუქის წვერის გასასწორებლად საგანგებო ხელსაწყო – ბრინჯაოს კაუჭი – არსებობდა *[კილურაძე, 1977: 214]*

გამყრელიძე, 2001: 26-30]. თიხა, ძირითადად, მსუბუქი და იოლად გადასაადგილებელი ჭრაქების დასამზადებლად გამოიყენებოდა. შესაბამისად, თიხის ჭრაქები, სხვა დანარჩენთან შედარებით, ბევრად მრავალრიცხვანია და ალბათ, უფრო ყოველდღიური მოხმარების საგანს ნარმოადგენდა. ნედლი თიხისგან ჭრაქების ფორმის გამოყვანა ძირითადად სამი ხერხით ხდებოდა – 1. მარტივი ხელითნაძერწობით, 2. კერამიკულ მორგვზე, 3. ყალიბში. ხელითნაძერწ ჭრაქებს, მარტივად, ყოველგვარი ხელსაწყოს გამოყენების გარეშე, ხელით ეძლეოდა ფორმა და როგორც წესი, უხეშ და სადა ნივთებს ნარმოადგენენ. მათი ქრონოლოგიური დიაპაზონი ფართოა (ძვ.წ. III ათასწლეულიდან ახ.წ. XVI-XVII საუკუნეებამდე). კერამიკულ მორგვზე ჭრაქების დამზადება შემდეგნაირად ხდებოდა – მორგვზე გამოიყვანებოდა ტანი, შემდეგ ემატებოდა დანარჩენი დეტალები, ნაკერები საგანგებოდ იგმანებოდა, და ხდებოდა გამოწვა. მათი ნარმოება იწყება ძვ.წ. VI საუკუნიდან. ჭრაქის ყალიბში დასამზადებლად – ყალიბის ორივე საგდული თიხის თხელი მასით ილესებოდა. მასის გამოშრობის შემდეგ ხდებოდა ყალიბიდან გამოღება, შეერთება, დარჩენილი ნაკერის მოდალური შტამპით დამუშავება და ჰაერზე გაშრობა, სხვადასხვა ორნამენტით დაფარვა და ღუმელში გამოწვა. ყალიბის გამოყენებით შესაძლებელი გახდა ჭრაქების მრავალნაირი ორნამენტით შემკობა. ითვლება, რომ პროტოტიპი, ყალიბში დამზადებული თიხის ჭრაქებისა, ლითონის ჩამოსხმული ჭრაქები იყო. მათი ნარმოება დაიწყო ძვ.წ. II საუკუნიდან და კარგა ხანს ჩაანაცვლა მორგვზე დამზადების ტექნოლოგია. ახ.წ. III-IV სს-ში ისევ აღორძინდა მორგვზე დამზადების წესი და ყალიბში დამზადების წესთან ერთად განაგრძო არსებობა *[Арсенъева,*

1988:3-6]. ლითონისგან (ბრინჯაო, რკინა და სხვ.) და მარმა-რილოსაგან დამზადებული სანათები (ჭრაქები, ლამპადარი-ები, კანდელაბრები, ჭაღები), თუ გავითვალისწინებთ მასა-ლის სიძვირესა და დამზადების რთულ ტექნოლოგიას, უფ-რო სადღესასწაულო და რელიგიურრიტუალური დანიშნუ-ლებისა იყო. ბრინჯაოს სანათები ჩამოსხმით, ხოლო რკინისა – ჭედვით მზადდებოდა. ისინი სასახლეებს, ტაძრებსა და ად-მინისტრაციულ შენობებს ამშვენებდნენ. ცნობილია, რომ ბრინჯაოს თუ სხვა ლითონისაგან დამზადებული სანათები ძვირფას სასაჩუქრე საგანსაც წარმოადგენდნენ. მინის სანა-თები (ჭრაქი, ლამპარი) მინის თავისუფლად ან ყალიბში გა-მობერვისა და ყალიბში ჩამოსხმის ტექნიკით მზადდებოდა.

რომაულ ხანაში ჭრაქები კიდევ უფრო ფართოდ ვრცელ-დება. მათ დიდი რაოდენობით ამზადებდნენ ანტიკური სამ-ყაროს მთელ რიგ კერამიკულ სახელოსნოებში, როგორც ში-და მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ისე საექსპორ-ტოდაც, რაც გარე ბაზარზე მათზე დიდი მოთხოვნილებით იყო განპირობებული. სწორედ ამ ფაქტორმა გამოიწვია იმ სპეციალიზებული სახელოსნოების წარმოშობა ეფესოში, პერგამონში, სამოსზე, რომში, კართაგენში, ალექსანდრიაში და სხვაგან (ტაბ.I/1), სადაც საგარეო ბაზრისათვის დიდი რაოდენობით ამზადებდნენ ჩვენთვის საინტერესო პროდუქ-ციას **[ებრალიძე, 2005].** ელინისტური ხანის ჭრაქებისაგან განსხვავებით, ამ პერიოდში ჭრაქების გარკვეული, ჩამოყა-ლიბებელი სახე იყო გამოყენებაში, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში რომაული ტიპის ჭრაქების სახელწოდები-თაა ცნობილი. მათთვის დამახასიათებელია ცილინდრული ტანი, მომცრო საპატრუქე მილი და საზეთე, ორლულიანი, ან დაღარული მარყუჟისმაგვარი ყური და ბრტყელი ძირი.

უკვე ახ.წ. III საუკუნის იტალიკური და მცირეაზიული ჭრაქების ადგილს იმპორტში უკვე ატიკური ჭრაქები იყავე-ბენ. მათთვის დამახასიათებელია ფარაკისა და გვერდების რელიეფური წერტილებით შემკობა, გამოწვის მაღალი ხა-რისხი კი გარკვეულ სიმსუბუქეს ანიჭებდა **[ებრალიძე, 2005].**

თავის მხრივ, მეტად საინტერესოა გონიო-აფსაროსის კასტელუმის ტერიტორიაზე აღმოჩენილი რომაული პერიო-

დის კერამიკული ნაწარმი, რომელთაგან დღეს წარმოგიდგენთ ჭრაქებს. მათი დიდი ნაწილი რომაული ეპოქის ყაზარმების ნამთების კულტურულ ფენაში იქნა მიკვლეული (ტაბI/2).

ერთ-ერთი პირველი, რომელსაც განვიხილავთ, ესაა წითელლაკიანი ჭრაქის ფრაგმენტი SW-V უბნიდან (ტაბII/1), რომელსაც აქვს ჩალისფერკეციანი კეცი, ცილინდრული ტანი და მომცრო საპატრუქე მილი. უნდა ჰქონოდა მარყუშისებრი, პატარა ყური. სამწუხაროდ, ჩაზნექილი ფარაკის დიდი ნაწილი არ აქვს შერჩენილი, შესაბამისად საზეთე ხვრელიც არ ჩანს. ფარაკის ირგვლივ წრიული სარტყელი შემოუყვება. არ არის გამორიცხული, რომ ფარაკზე ორნამენტიც ჰქონოდა. ჭრაქის ირგვლივ აქა-იქ შემორჩენილი აქვს წითელი ლაკის კვალი. მსგავსი ჭრაქები ბევრგანაა დაფიქსირებული, მათ შორის კართაგენში, ოლბიასა და პერგამონში [Vessberg, 1953]. თუმცა, ზუსტი ანალოგები მაინც პერგამონულ ნაწარმთან მოეძებნება, რომლებიც I საუკუნის მიწურულითა და II საუკუნის პირველი მეოთხედით თარიღდება.

მოდევნო ჭრაქი (ტაბII/2), აღმოჩენილ იქნა SO-XII უბნის 51-ე კვადრატში ე.ნ. ყაზარმის ნაგებობის იატაკის დონეზე. ჭრაქი ვარდისფერკეციანია, მას წითელი ლაკი ჰქონდა დატანილი. აქვს მომრგვალებული და კედელზე გადმოკეცილი გვერდები, ფარაკი ჩაზნექილია. სამწუხაროდ, ფარაკის დიდი ნაწილი არ აქვს შემორჩენილი, რის გამოც საზეთე ნახვრეტის მდებარეობის განსაზღვრა ვერ ხერხდება. შესაძლებელია ფარაკზე ჰქონოდა ორნამენტიც. რაც შეხეება მის ანალოგებს, ძალიან დიდია მსგავსება სამოსურ ნაწარმთან, რომელიც რომაულ პერიოდში კერამიკული ნაწარმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ექსპორტიორი გახლდათ [Vessberg, 1953]. მსგავსი ტიპის სამოსური ჭრაქები თარიღდება ა.ნ. II საუკუნის პირველი მეოთხედით.

შემდეგი ჭრაქი (ტაბII/3), SO-XII უბნის ტერიტორიაზე, 71-ე კვადრატში რომაული პერიოდის ყაზარმის იატაკის დონეზე აღმოჩნდა. ეს ჭრაქიც ვარდისფერკეციანი გახლავთ, რომელიც დაფარული იყო წითელი ლაკით. აქვს შიგნით ჩაზნექილი ფარაკი, რომელსაც საზეთე ნახვრეტი საპატრუქე

მილთან ძალიან ახლოს აქვს. ასევე შემორჩენილი აქვს მცირე, მარყუჯისებრი ყური და საპატრუქე მილის მცირე ნაწილი. თავის შხრივ, გამოირჩევა მეტად საინტერესო ორნამენტით.

მსგავსი გამოსახულებიანი ჭრაქები ბევრგანაა დადასტურებული. რომელთა ფარავზე ეტლში შეპმული ცხენები, ფრთოსანი ცხენი, თუ მასზე ამხედრებული მხედარია გამოსახული. სამწუხაროდ, ორნამენტი იმდენადაა დაზიანებული, რომ რთულია მასზე გამოსახული ცხოველის ზუსტად განსაზღვრა. ეს ჭრაქი ახლო მსგავსებას ავლენს პერგამონულ ჭრაქებთან, რომლებზეც ლომების, ცხენებისა, თუ სხვა ცხოველთა გამოსახვა ძალიან ხშირად გვხვდება. ამ ტიპის ჭრაქები ახ.ნ. I საუკუნის ბოლოსა და II საუკუნის დასაწყისით თარიღდება [Bailey, 1988]. ჩვეულებრივ, მსგავსი ჭრაქების განათების ხარისხი, რომელთაც საზეთე ნახვრეტი ძალიან ახლოს ჰქონდათ საპატრუქე მილთან, არც თუ ისე მაღალი იყო.

კიდევ ერთი ჭრაქი (ტაბII/4), რომელიც ასევე SO-XII უბნის ტერიტორიაზე, კერძოდ კი 72-ე კვადრატში აღმოჩნდა, ასევე გამოირჩევა ძალიან საინტერესო, ექსპრესიული ორნამენტით. აღნიშნული ჭრაქის მხოლოდ ფარავი შემორჩა, რომელსაც საპატრუქე მილთან ძალიან ახლოს აქვს საზეთე ნახვრეტი. ჭრაქი ვარდისფერკეციანია, შეიცავს მცირე ზომის პიროქსენის მინარევებს. ჩაზნექილ ფარაქს ირგვლის წრიული სარტყელი შემოუყვება. მიუხედავად ორნამენტის ნაწილობრივი დაზიანებისა, მაინც შესაძლებელია მასზე გამოსახული ცხოველის აღქმა, სავარაუდოდ ეს გახლავთ ლომის გამოსახულებიანი ორნამენტი, რომლის გამოსახვაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძალზე პოპულარული იყო აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირულ ნაწარმზე [Bailey, 1988]. აღნიშნული ჭრაქიც პერგამონულ ნაწარმს განეკუთვნება და ახ.ნ. I საუკუნის ბოლოსა და II საუკუნის დასაწყისით თარიღდება. მსგავსი ჭრაქები აღმოჩნდილია როგორც ჩრდილო შავიზღვისპირეთში, ისე აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის სხვადასხვა ძეგლებზე.

ამდენად, როგორც ვხედავთ, გონიო-აფსაროსში აღმოჩენილი, ჩვენს მიერ განხილული ჭრაქები, ქრონოლოგიური

თვალსაზრისით ახ. წ. I საუკუნის ბოლოსა და II საუკუნის პირველი მეოთხედით თარიღდება, ხოლო მათი დამზადების ძირითად საწარმოო ცენტრს სამოსი და პერგამონი წარმოადგენდა. ამ საკითხის ირგვლივ უფრო ვრცელი კვლევა კი ახლო მომავალში გვექნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ებრალიძე, 2005:** – ებრალიძე ტ., სამხრეთ- დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი გვიანელინისტურსა და რომაულ ხანაში (სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა-ნი იმპორტული კერამიკის მიხედვით), ბათუმი;
2. **თოდუა, 1988:** – თოდუა თ., რომაული კულტურა და აღ-მოსავლეთ შავიზღვისპირეთი, სმამ, თბილისი;
3. **Appolonia, 1983:** – Appolonia-Arsuf, Sussman V. “The Samaritan Oil Lamps from Apolonia-*Arsuf”, TA 10, pp. 71–96.1996 Wexler L. & Gilboa G. “Oil Lamps of the Roman Period from Apollonia-Arsuf”, TA 23, pp. 115–131.
4. **Bailey, 1988:** – Bailey D.M. A Catalogue of the Lamps in the British Museum, III: Roman provincial lamps, London;
5. **Potok, 1978:** – Potok C., Wanderings, History of the Jews, Ballantine Books;
6. **Roth, 1996:** – Roth C., Encyclopaedia Judaica, Keter Publishing;
7. **Runes, 1959:** – Runes, D., Dictionary of Judaism, Citadel Press;
8. **Stefoff, 1997:** – Stefoff R., Finding the Lost Cities, Oxford Press;
9. **Sussman, 1972:** – Sussman, V., Ornamented Jewish Oil-lamps, Israel Inst. and Exploration Society;
10. **Soden, 1994:** – Von Soden W., The Ancient Orient, William B.Eerdman Publishing;
11. **Vessberg, 1953:** – Vessberg, O., “Hellenistic and Roman Lamps in Cyprus” Opuscula Atheniensia 1:115–29.

Sulkhan Mamuladze

*Lamps from Gonio Apsarus according to newest discoveries
Summary*


In the article, it is considered the origin of the Roman time lamps, its manufacturing technology and the main manufacturing centers. In addition, there are presented several lamps found in Gonio-Apsaros area, there is presented their description and manufacturing centers too. As for sum up, the article provides significant information that, the most important centers involved in Gonio-Apsarus Roman garrison's lamps supply process were Samos and Pergamon.

ტაბულების აღწერილობა:

- I. რომაული ეპოქის ძირითადი და რეგიონული კერამიკული საწარმოო ცენტრები;
- II. გონიო-აფსაროსი (მონიშნულია მოცემული ჭრაქების აღმოჩენის ადგილები);
- III. ჭრაქები;

ტაბულები:

ტაბ.I



1



2

გაბ. II

1



2



3



4



ქეთევან გორგილაძე აბესალომ ასლანიძე

ქამაგულის ამაღლების სახელმგის ეკლესიის ისტორიის ზოგიერთი საკითხი

ხულოს მუნიციპალიტეტის სხალთის თემში შემავალი სოფელ ძმაგულის სახელწოდებასთან დაკავშირებით მოსახლეობაში ცნობილია ორი ლეგენდა, რომელთა შინაარსის გაცნობის შემდეგ, ღვივდება ინტერესი სამეცნიერო წრეებისთვის დღემდე უცნობი საკითხები ძმაგულის ამაღლების სახელობის ეკლესიის ისტორიის შესახებ.

ერთი ლეგენდა, სადაც წმინდა მამის ტრაგიკულ აღსასრულზეა საუბარი, უკავშირდება სოფლის სახელწოდების წარმოშობას. ამ გადმოცემის თანახმად, „უძველეს დროს ჩვენ წინაპრებს აქ აუშენებიათ ეკლესია, ამაღლებაში ეკლესიის ხუცესად აქური მღვდელი განუწესებიათ. ეს ეკლესია ამაღლების დღეს გახსნილა და ამიტომაც ამ ადგილს „ამაღლება“ რქმევია. მტრის შემოსვლის მერე ეს ადგილები ძალით გაუმაპმადიანებიათ, მაგრამ მღვდელი თურმე თავისას არ იშლიდა და წირვას მაინც ატარებდა. ერთ-ერთი წირვის დროს, როცა ზარი ირეკებოდა, მოსულან თურქები, ხუცესი შეუპყრიათ და სასტიკად უწამებიათ – მინაში ჩაუკირავთ. ხუცესთან მისვლა ვერავის გაუბედავს, მოსახლეობა თურქებს დაუშინებია. მონამე ადგილზე გარდაცვლილა. ამ მღვდელს ჰყოლია ძმა, სახელად გულა, რომელიც ძალზე განიცდიდა ძმის ამბავს. ამ ამბის შემდეგ, გულა იმ მიდამოში დასახლებულა, სადაც „ამაღლების“ ეკლესია იდგა და ცხოვრებაც იქ გაუგრძელებია. ამიტომაც ამ უბანს „ძმაგულა“ დარქმევია“ (მთქ. ა. გორგილაძე, დაბ. 1950 წ. და მცხ. სოფ. ჭერში. 2012 წ.) [მიქელაძე, 2014:278].

ადგილი, რომელზეც საუბარია ლეგენდაში, მდებარეობს სოფელ ძმაგულიდან 2 კილომეტრში და პრაქტიკულად არა-მარტო სხალთის ხეობას, არამედ აჭარისწყლის ხეობის ნაწილს (შუახევამდე მაინც) გაპყურებს, ასევე აქ გადიოდა გზა სხალთის ხეობიდან თაგო-ხულოს მიმართულებით. თავის დროზე ამ ადგილს უდიდესი საფორტიფიკაციო მნიშვნელო-

ბა ჰქონდა. ამით უნდა ყოფილიყო გამოწვეული ამ ადგილას ეკლესის მშენებლობაც, რომელიც თავის დროზე თლილი ქვით ყოფილა ნაძენი. ამ ადგილს დღემდე მოსახლეობა **ამაღლებას, ან ნასაყდს/ნასაყდრალს** უწოდებს და თვლიან, რომ აქ უნდა ყოფილიყო ამაღლების სახელობის ეკლესია და ადგილის სახელიც აქვთან.

სოფლის გეოგრაფიული მდებარეობითა და სავარგული მიწების რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, მოსახლეობის რაოდენობა აქ 10-12 ოჯახზე მეტი არასდროს ყოფილა. ერთერთი გადმოცემის მიხედვით აქ ყოფილა სოფელი, მაგრამ შავი ჭირს მოსახლეობა გაუწყვეტია. მოგვიანებით (ჩვენი ვარაუდით, ეს უნდა მომხდარიყო დაახლოებით მე-17 საუკუნის დასახუისისთვის) აქ დასახლებულა ამჟამად ამ სოფელში მცხოვრები მუშამბაძეების წინაპარი, რომლის პირველსაცხოვრისი ჩვენთვის უცნობია. მუშამბაძეები სოფლის ცენტრში, იმდროისთვის ერთადერთ წყაროსთან ახლოს ცხოვრობენ, რაც გვავარაუდებინებს რომ ისინი ამ სოფლის პირველმოსახლეები იყვნენ. სოფლის პირველმაცხოვრებლებად ითვლებიან აგრეთვე ამჟამად სოფელ ჩაოში მცხოვრები გოგოლაძეების წინაპრებიც. ზოგიერთ ადგილს ძმაგულაში დღესაც მათი სახელით მოიხსენიებენ. ისინი აქვთან უნდა გასახლებულიყვნენ სწორედ ეპიდემიის გამო.

სოფლის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ პირველი ცნობები აჭარის ვილაეთის დავთარშია მოცემული, თუმცა რამდენად ობიექტურად ასახავს ვითარებას ეს წყარო, არ ვიცით, სადაც ძმაგულა სოფელ ჭერის უბნადაა აღნიშნული და მცხოვრებთა რაოდენობა ჭერთან ერთად 8 კომლს შეადგენს [აჭარის, 2011] და საფიქრებელია, რომ იმ დროისთვის ჭერში უფრო მეტი ოჯახი იქნებოდა, ვიდრე ძმაგულაში. ამ მონაცემებით, ძმაგულაში 2-3 კომლი უნდა ყოფილიყო, თუმცა არ ვიცით ვისი წინაპრები იყვნენ ისინი. რაც შეეხება დღეს სოფელში მცხოვრებთა წინაპრებს, მათი აქ დასახლების ისტორია დაახლოებით ასეთია: მუშამბაძეების შემდეგ, აქ დასახლებულან ადიგენიდან გადმოსული

ლომიძები¹³, რომლებიც ახლა ასლანიძებად იწერებიან. ეს უნდა მომხდარიყო დაახლოებით მე-18 საუკუნის 30-იანი წლების შემდეგ. შემდეგი გვარის წინაპარი, რომელიც აქ და-სახლებულა, სოფელ ჩაოდან გადმოსული მახარაძეები არი-ან. მათი ისტორია შედარებით კარგადაა ცნობილი. ისინი აქ სოფელ ჩაოდან უნდა გადმოსულიყვნენ საცხოვრებლად მე-19 საუკუნის დასაწყისისთვის. ამავე საუკუნის მეორე ნახე-ვარში კი ეტაპობრივად სოფელ ყინჩაურიდან აქ საცხოვრებ-ლად მოვიდნენ სოფელში ამჟამად მცხოვრები სხვა მახარა-ძეები, რომლებსაც პირველად მოსულ მახარაძეებთან რაიმე ნათესაური კავშირი არ აქვთ.

ამ პატარა შესავალის შემდეგ კიდევ უფრო საინტერე-სოდ ჩანს ამ სოფლის ქრისტიანული ისტორია. მოსახლეო-ბაში შემორჩენილი გადმოცემით, აქ ყოფილა თლილი ქვით აშენებული ეკლესია, რომელიც სამწუხაროდ დღემდე შეს-წავლილი არაა სპეციალისტების მიერ. როგორც უკვე აღი-ნიშნა, ამ ადგილს მოსახლეობა დღემდე ნასაყდს, ან ნასაყ-დრალს ეძახის. იბადება კითხვა: ასეთ პატარა სოფელში რა-ტომ იყო თლილი ქვით გაკეთებული ეკლესია? კითხვაზე ნა-

¹³ გადმოცემით ცნობილია, რომ ადიგენიდან გამოქცეული ლომიძე (რო-გორც წესი, ასეთ გადასახლებებს საფუძვლად უდევს ქალთან დაკავ-შირებული ისტორია, რომ ერთი ქალი უყვარდა რამდენიმეს, მაგრამ ქალს ეს უყვარდა და ამიტომ იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი საცხოვ-რისი და ა. შ.), მუშამბაძეს მიულია როგორც ძმა და მის გვერდით დაუსახ-ლებია სოფლის ცენტრში მაშინ არსებულ ერთადერთ წყაროსთან ახლოს. დღემდე ამ ორი გვარის საგვარეულო მიწების გვერდი-გვერდ მდებარეო-ბაც ამაზე მიუთიობს. მაგრამ აქ საინტერესოა ის, თუ რა აღმსარებლო-ბის უნდა ყოფილიყო აქ გადმოსახლებული ლომიძე? მუშამბაძე რომ ქრის-ტიანი იქნებოდა (ამ დროისათვის ზემო აჭარში ისლამიზაციის პროცესი ჯერ დაწყებული არაა, ყოველ შემთხვევაში მოსახლეობის ქვედა ფენებში მიინც), ეს ეჭვს არ უნდა იჩვევდეს. შესაბამისად, ის თავის ძმად ვერ გაიხდიდა, სოფლის მიწებს შუაზე არ გაუყოფდა და მეზობლად არ გაიხ-დიდა მუსლიმს იმ დროისათვის ქრისტიანების ისლამისადმი და ზოგადად დამშერობლის მიმართ დამოკიდებულების გამო. გამომდინარე აქედან, აქ ჩამოსახლებული ლომიძეც ქრისტიანი უნდა ყოფილიყო და სავარაუდოა, რომ ის ადიგენიდან სწორედ იმ პერიოდისთვის სამცხე-ჯავახეთის ტერი-ტორიიგზე დაწყებულ ისლამიზაციის პროცესს გამოქცეოდა.

წილობრივ სცემს პასუხს თვით ამ ადგილის გეოგრაფიული მდებარეობა – სოფლების, თაგოს, გურძაულის, ჭერისა და ძმაგულის სიახლოვე (თუმცა, გურძაულისა და ჭერისთვის სხალთის ეკლესია უფრო ახლოსაა).



ეკლესიი ნანგრევები (თლილი ქვები)

ამჟამად სოფლის მცხოვრებთა მეხსიერებაში შემორჩენილი ამ ისტორიით თუ ვიმსჯელებთ, ზემოთ ნახსენები ამაღლების ეკლესია შესაძლებელია აშენებულიყო შუა საუკუნეებში, ხოლო დანგრევის თარიღი უცნობია, თუმცა უდაოდ უკავშირდება ოსმალთა ბატონობის ხანას. სავარაუდოდ, სოფელში სხვა სალოცავიც უნდა ყოფილიყო. გადმოცემით, სოფლის განაპიროს ყოფილას ხის პატარა საყდარიც, რომლის ადგილზეც მე-20 საუკუნის დასაწყიშიც კი, მუშამბაძეების დიდი ბეჭია ქრისტიანულ დღესასწაულებზე ანთებდა სანთლებს. ამჟამად ამ ადგილას არ ჩანს იქ საყდარის არსებობის რაიმე კვალი, მაგრამ მისი ადგილმდებარეობა გვაფიქრებინებს ადრე იქ სამლოვცელოს არსებობას, რაც ზეპირი გადმოცემებითაც დასტურდება.

ამაღლების სახელობის ეკლესიის შესახებ ძირითადი ინფორმაცია შეიძლება მოგვცეს არქეოლოგიურმა გათხრებმა, რომელიც სამწუხაროდ, ჯერ არ ჩატარებულა. ნაეკლესიარი განადგურების საფრთხის წინაშეა. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ზუსტად ამ ეკლესიის ადგილას მე-20 სა-

უკუნის 70-იან წლებში აშენდა საცხოვრებელი სახლი. მაშინ ეკლესიის ნაშთი არ ჩანდა, თუმცა ეხლა სხვადასხვა სამუშაოების ჩატარების დროს, იქ სხვადასხვა ნივთების ნამტვრევებთან ერთად, ეკლესიის თლილი ქვებიც გამოჩნდა. გადმოცემით ეკლესიის ქვებია გამოყენებული მე-19 საუკუნის 50-იანი წლების შემდეგ აშენებული სოფელ თაგოს მეჩეთის საძირკველად.

ვფიქრობთ, რომ ამაღლების სახელობის ეკლესიის ისტორიის შესწავლა უნდა მოხდეს ისლამიზაციის პროცესთან კავშირში, რომელიც სხალთის ხეობაში შედარებით გვიან განხორციელდა. ზაქარია ჭიჭინაძის ჩანაწერებით თუ ვიმსჯელებთ, მე-19 საუკუნის 50-იან წლებში სხალთის ეკლესიაში წირვა-ლოცვებს აღავლენდა მღვდელი. პირველი მუსლიმური ლოცვა აღუვლენია იმ პერიოდისთვის სტამბოლში რელიგიური განათლების მიღების შემდეგ დაბრუნებულ ქედელ ახმედ ხალიფაშვილს. სწორედ მისგან ჩაუწერია ზაქარია ჭიჭინაძეს ასეთი ისტორია: „სხალტა რომ ჯამეთ გააკეთეს, მე პირველად ვალოცე იქ ხალხი, პირველად მე დავიძახე მაჰმადის ლოცვა მის მინარიდგან. სხალტის ეკლესიის სურათებს რომ ცეცხლს ვაძლევდით, ესეც ძლიერ ბევრს მოხუცებულებს სწყინდათ“ [ჭიჭნაძე, 1925:12]. მაგრამ ჩვენთვის უფრო საინტერესოა ჭიჭინაძის ცნობა იმის შესახებ, სადაც ის საუბრობს ყინჩაურმი ეკლესიის დანგრევის შესახებ, რომ ეკლესია თურქებმა დაანგრიეს და აქ მხოლოდ ეკლესიის ნანგრევებილა ჩანსო [იქვე, გვ. 67]. სხალთის ტაძარი რომ არ დაუნგრევიათ და არც ნასაყდრალი ჰქვია იმ ადგილს, ეს ცნობილია. არც გადმოცემებით და არც სამეცნიერო ლიტერატურით არ დასტურდება ყინჩაურმი სხვა ეკლესიის არსებობა. თუ ჭიჭინაძესთან აქ საუბარია სხალთის ეკლესიის ეზოში პატარა ეკლესიის ნანგრევებზე, ეს გაცილებით ადრე დაინგრა, ვიდრე აქ ოსმალები მოვიდოდნენ. ეს ნანგრევები არქეოლოგებმა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში აღმოაჩინეს. მაშინ რომელ ნასაყდრალზე საუბრობს ჭიჭინაძის ინტერვიუერი?

ამავე წიგნში ჭიჭინაძე საუბრობს ყინჩაურის მღვდელზე, რომელმაც დიდ ხანს შეინახა ქრისტიანობა და მეზობელ სოფლებშიც დადიოდა ქრისტიანობის საქადაგებლად, რის

გამოც ის დაასმინეს და ამის გამო დიდი შიში აწვიეს ამ მღვდელს ხიმშიაშვილებმაო [იქვე, გვ., 67]. აქ შევნიშნავთ, რომ ხიმშიაშვილების მმართველობა დღევანდელი აჭარის ტერიტორიაზე მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ვრცელდება და შესაბამისად, ისლამის გავრცელებისთვის ზრუნვაც ხიმშიაშვილების მხრიდან მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში უნდა მომხდარიყო. ისმება კითხვა: ეკლესიის დანგრევისა და ამ მღვდლის ამბავიც ხომ არაა დაკავშირებული ამაღლების სახელობის ეკლესიასთან?

გიორგი ყაზბეგი სხალთის შესახებ წერს: ამჟამად ძველი სოფლის ადგილას მხოლოდ ტაძრის ნანგრევებია, რომლის მახლობლად დგას შერიფ-ბეგის – ზემო აჭარის ახლანდელი უფროსის ახალი სახლი [ყაზბეგი, 1995:41]. აქ უნდა ითქვას, რომ „ნანგრევები“ ყაზბეგთან იმ მნიშვნელობით არაა გამოყენებული, როგორც ჩვენ გვესმის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ყაზბეგი აკეთებს სხალთის ეკლესიის ჩანახატს, პირვანდელი სახით, რომლის მიხედვით არცერთი კედელი ჩამონარეული არაა. ავტორი აღნერს აგრეთვე ტაძარში არსებულ ფრესკებს, რომლებიც როგორც ჩანს, მისი მოგზაურობის შემდეგ განადგურდა. შესაბამისად ნანგრევებში უნდა იგულისხმებოდეს ეკლესიის მიტოვებულობა, უპატრონობა, უმოქმედობა. საინტერესოა, რომ ყაზბეგი არ ახსენებს სხალთის ეკლესიის მოძღვარსა და ზოგადად ქრისტიანობის ისტორიას, რაზეც მიუთითებს ზ. ჭიჭინაძე.

როგორც გ. ყაზბეგი წერს, ხულოდან ის სხალთაში სოფელ ჩაოს გავლით გადასულა ეს საფეხმავლო გზა დღესაც არსებობს. სოფელ ძმაგულასთნ მისვლამდე გზა ორად იყოფა, ერთი სოფლისკენ მიემართება, მეორე კი დაბლა ეშვება მდინარე სხალთისწყლისკენ და შემდეგ სხალთისკენ. სავარაუდოდ ყაზბეგიც ამ გზით მოგზაურობდა, რადგანაც ის არ ახსენებს ძმაგულას და შესაბამისად ამაღლების ეკლესიას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დიდმიტრი ბაქრაძე [ბაქრაძე, 1987], როგორც გიორგი ყაზბეგი, ასევე არერთგზის მიუთითებს, რომ ზემო აჭარაში მათი მოგზაურობიდან 30 წლის წინ აქ ყველა ქართულად ლაპარაკობდაო, შემდეგ იწყება ინტენსიურად თურქულის ენისა და ისლამის გავრცელებაო... თუ ამ ფაქტიდან ამოვალთ, აჭარაში მომ-

ძლავრებული ისლამიზაცია და თურქული ენის გავრცელება იწყება თანზიმათის რეფორმების შემდეგ, როდესაც აქედან დაიწყეს თურქულ ჯარში ახალგაზრდების განვევა. ჩნდება კითხვა: ხომ არ უკავშირდება ამ პერიოდს ამაღლების ეკლესიის დანგრევა?

დიმიტრი ბაქრაძე და გიორგი ყაზბეგი ამაღლების ეკლესიის შესახებ არავითარ ცნობას არ გვაწვდიან. სავარაუდოდ, მათი მოგზაურობის დროს ეს ეკლესია დანგრეული იყო. ამასთან, მოგზაურები არ გადასულან ხულას სხალთა-გურდაული-ამაღლება-თაგო-ხულოს გზით, სადაც ეკლესიის ნანგრევებია შემორჩენილი.

ამ მიმართებით, საინტერესოა ცნობა, ძველი სოფლის დაცარიელების შესახებ. დაცარიელებული სოფლის მახლობლად აუშენებიათ აქაური მმართვებილის სახლი. ძველი სოფლში შემონახულა ტაძრის ნანგრევები და რამოდენიმე თლილი ქვა. სოფელი კი გაქრა. მცხოვრებლებთა ერთი ნაწილი ამბობდა, რომ აქაური უკანასკნელი ქრისტიანი მცხოვრებლები ეპისკოპოსთან ერთად იმერთში გადასულან და ეკლესიდან თან წაულიათ წმინდანთა ხატები; ხოლო მეორე ნაწილის გადმოცემებით კი „ძველი სოფლის მოსახლეობა ადგილობრივ ციებიან ჰავას გაექცაო“ [ბაქრაძე, 1987: 57-58; ყაზბეგი, 1995:40-41]. შესაძლოა ეს ცნობაც უკავშირდებოდეს ამაღლების ეკლესიას, ვინაიდან მე-19 საუკუნის 50-იანი წლებისთვის სხალთის ეკლესია მართალია არ ფუნქიონირებდა, მაგრამ შენობა შენარჩუნებულ იყო. ამის შესახებ მიგვითითებს არაერთი მოგზაური, მაგალითად პ. უვაროვა [Уварова, 1891], ხოლო ამაღლების ეკლესია დაშლილია და მხოლოდ ნანგრევებიღა იყო შემორჩენილი. შესაძლებელია, რომ გიორგი ყაზბეგი სწორედ ამაღლების ეკლესიაზე საუბრობდეს.

რა მდგომარეობაა დღეისათვის იმ ტერიტორიაზე, რომელზეც საუბარია ჩვენს ნაშრომში? უახლოეს პერიოდამდე, მხოლოდ გადმოცემებით იყო ცნობილი ამაღლების ეკლესიისარსებობა. მე-20 საუკუნის 70-იან წლებში აქ აშენდა საცხოვრებელი სახლიც, მაგრამ დღეისათვის მიწის დამუშავების შედეგად აქ აღმოჩენდა მხოლოდ ეკლესიის ნანგრევები, თლილი ქვები და რამდენიმე საყოფაცხოვრებო ჭურჭლის

ფრგამენტი, დოქის ხელის ნატეხი, ჯამის ძირი, ქვევრი და
სავარაუდოდ მარანის გასაღები



დოქის ფრაგმენტი (ხელი)



ჯამის ფრაგმენტი (ძირი)



გასაღები